

შპს პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტი
ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება.....	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საშუალებები.....	6
2. მარაგები.....	7
3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	7
5. მიღებული სესხები	7
6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	8
7. ამონაგები.....	9
8. სხვა საოპერაციო ხარჯები	9
9. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	9

შპს პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	1,265,906	1,339,511	1,098,542
		1,265,906	1,339,551	1,098,542
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	2	91,572	64,308	69,129
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	940,040	840,830	928,629
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	4	494,431	30,237	30,018
		1,526,042	935,375	1,027,776
სულ აქტივები		2,791,948	2,774,886	2,126,318
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		163,176	163,176	163,176
დაუფარავი ზარალი		(1,984,06)	(2,026,761)	(1,366,828)
		(1,820,88)	(1,863,585)	(1,203,652)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
	5	1,267,152	2,248,069	971,917
მიღებული სესხები		3988,575	336,132	101,166
ფინანსური ლიზინგი				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,674,727	2,584,201	1,073,083
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		1,824,958	528,774	230,268
მოკლევადიანი ფინანსური ლიზინგი	5	101,688	199,093	67,391
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	971,603	762,617	1,916,410
საგადასახადო ვალდებულებები		39,860	63,786	42,819
		2,938,109	1,554,269	2,256,887
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,791,948	2,274,886	2,126,318

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 25 დეკემბრის შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ მოთიკო ზაალიშვილი

ბიუჯეტირების და ანგარიშგების სპეციალისტი _____ დიანა პეტროსიანი

6 – 13 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტი

სრული შემოსავლის ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

	<u>შენიშვნა</u>	2019	2018
საოპერაციო შემოსავალი			
ამონაგები	7	4,183,971	3,634,531
სხვა საოპერაციო შემოსავალი		120,569	15,404
საოპერაციო ხარჯები			
შეძენილი მარაგების		(772,743)	(857,966)
თვითღირებულება			
ხელფასები და თანამშრომელთა		(1,871,182)	(1,931,100)
სხვა სარგებელი			
საფინანსო ღირებულების ხარჯები		(674,781)	(634,710)
ცვეთა და ამორტიზაცია	1	(244,903)	(182,789)
სამედიცინო მომსახურების		(11,111)	
ხარჯი			
სხვა საოპერაციო ხარჯები	8	(291,587)	(371,168)
საოპერაციო ზარალი		438,233	(327,797)
საპროცენტო ხარჯი		(375,528)	(336,233)
წმინდა ზარალი კურთა შორის		(20,012)	4,098
სხვაობიდან			
ზარალი დაბეგვრამდე		42,693	(659,933)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მთლიანი სრული ზარალი		42,693	(659,933)

6 – 13 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	ჯამი
	163,176	(1,366,828)	(1,203,652)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრიდან			
მთლიანი სრული ზარალი	-	(659,933)	(659,933)
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისთვის	163,176	(2,026,761)	(1,863,585)
მთლიანი სრული ზარალი	-	42,693	42,693
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	163,176	(1,984,063)	(1,820,887)

6 – 13 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის
(ლარში)

1. ძირითადი საშუალებები

	სამედიცინო აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	იაჯრით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ ძირითადი საშუალებები
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,176,060	146,460	-	1,322,520
შემოსვლა	467,026	20,459	-	487,485
გასვლა/ჩამოწერა	(72,647)	(13,094)	-	(85,741)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,570,438	153,825	-	1,724,264
შემოსვლა	147,423	7,602	16,272	171,297
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,717,861	161,427	16,272	1,895,561

დაგროვილი ცვეთა

ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	(176,034)	(47,944)	-	(223,978)
ცვეთის ხარჯი	(153,242)	(29,547)	-	(182,789)
გასვლა	22,014	-	-	22,014
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(307,261)	(77,491)	-	(384,752)
ცვეთის ხარჯი	(212,996)	(31,093)	(814)	(244,903)
გასვლა	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(520,257)	(108,584)	(814)	(629,656)

საბალანსო ღირებულება

ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,000,026	98,516	-	1,098,542
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,263,177	76,335	-	1,339,511
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,197,604	52,843	15,458	1,265,906

შპს პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის
 (ლარში)

2. მარაგები

	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
სამედიცინო სახარჯო მასალები	55,286	40,890	37,299
მედიკამენტი	30,984	23,264	30,973
სხვა მარაგები	5,302	155	857
	91,571	64,309	69,129

3. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2019	31.12.2019	01.01.2018
ფინანსური მოთხოვნები			
მოთხოვნები სამედიცინო მომსახურების გაწევიდან:			
მოთხოვნები ლაბორატორიის მომსახურებიდან	182,159	70,242	34,911
მოთხოვნები სახელმწიფო სტრუქტურებიდან	328,559	325,396	257,322
მოთხოვნა ორგანიზაციებიდან	227,237	169,277	282,404
მოთხოვნები საყოველთაო დაზღვევის პროგრამიდან	135,238	250,567	353,993
მოთხოვნები ფიზიკური პირებისგან	24,993	9,503	
გაცემული ავანსები	19,289	15,845	
სხვა მოთხოვნები	22,565	-	-
	940,040	840,830	928,629

სულ ფინანსური მოთხოვნები

4. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ფული ეროვნულ ვალუტაში სალაროში	2,415	991	2,078
ფული ეროვნულ ვალუტაში რეზიდენტ ბანკში	157,838	399	21,646
ფული უცხოურ ვალუტაში რეზიდენტ ბანკში	334,178	28,847	6,294
სულ გაცემული სესხები	494,431	30,237	30,018

5. მიღებული სესხები

მიღებული სესხების რეალური ღირებულება შეესაბამება მათ საბალანსო ღირებულებას.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	994,976	-	-
ფინანსური იჯარის მოკლევადიანი ვალდებულებები	101,688	199,093	101,166
დარიცხული პროცენტი	829,982	528,774	230,268
სულ მოკლევადიანი სესხები	1,926,646	727,867	331,434
ფინანსური იჯარის გრძელვადიანი ვალდებულებები	398,575	336,133	67,391
დაკავშირებული მხარისგან ნასესხები სახსრები	1,276,152	2,248,069	971,917
სულ გრძელვადიანი სესხები	1,674,728	2,584,202	1,039,307

შპს პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის

(ლარში)

სულ მიღებული სესხები	3,601,374	3,312,069	1,370,742
-----------------------------	------------------	------------------	------------------

დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხები წარმოადენს მიღებული სესხებსა და საკრედიტო ხაზებს 12%-15%-მდე საპროცენტო სარგებლით, რომელთა დაფარვის ვადა არის 2021 წელი. ყველა სესხი წარმოდგენილია ლარში.

მიღებული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მიღებული სესხების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
ნაშთი პერიოდის დასაწყისში	3,312,068	1,370,742
სესხის/ლიზინგის მიღება	48,723	1,736,530
ლიზინგის ვალდებულების ძირის დაფარვა	(95,998)	(80,316)
ლიზინგის პროცენტის გადახდა	(61,329)	(60,960)
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	375,528	336,233
გადაფასება	17,803	9,840
სხვა ხარჯი	4,578	0
ნაშთი პერიოდის ბოლოს	3,601,373	3,312,068

	2019	2018
ლიზინგზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	74,320	37,730
სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	301,208	298,503
	375,528	336,233

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-6 შენიშვნაში.

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლე ვადიანობის გამო.

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
სამედიცინო საქონლის/მომსახურების გაწევით			
წარმოქმნილი ვალდებულება	312,280	368,118	313,384
საიჯარო ვალდებულება	295,962	-	1,229,650
სავაჭრო ვალდებულებები	173,873	162,084	206,346
გადასახდელი ხელფასი	189,487	232,414	167,029
	971,603	762,616	1,916,410

შპს პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის
(ლარი)

7. ამონაგები

შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი ფიზიკური პირებისგან	1,705,333	1,320,800
შემოსავალი ლაბორატორიიდან	966,359	660,183
შემოსავალი ჯანდაცვის სამინისტროდან	654,612	780,391
შემოსავალი ორგანიზაციებიდან	433,274	334,698
შემოსავალი სახელმწიფო ორგანიზაციებიდან	424,393	538,460
	4,183,971	3,634,532

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
კომუნალური ხარჯები	(75,527)	(66,857)
დასუფთავების ხარჯი	(51,840)	(51,835)
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	(43,449)	(49,296)
საკანცელარიო ხარჯები	(19,490)	(31,769)
ლაბორატორიული კვლევის ხარჯები	(14,506)	(22,839)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯები	(13,000)	(11,000)
დაცვის მომსახურების ხარჯი	(12,942)	(3,000)
რემონტის ხარჯები	(8,136)	(29,119)
სამრეცხაო მომსახურების ხარჯები	(7,688)	(15,425)
საკომუნიკაციო ხარჯები	(6,537)	(4,717)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(3,104)	-
ზარალი გაყიდული ძირითადი საშუალება		(22,710)
სხვა ხარჯები	(35,367)	(62,603)
	(291,587)	(371,168)

9. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095
2019 წლის 1 იანვარი	2.6766	3.0701

ფასების პოლიტიკა :

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა

შელავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

კომპანია შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს მომხმარებლებისათვის სამედიცინო და მასთან დაკავშირებული ამბულატორიული და სტაციონალური მომსახურების გაწევა. შემოსავალი სამედიცინო და სხვა დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებიდან აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით.

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაზღვეული ფიზიკური პირებისთვის მოქმედებს განაკვეთი, რომელიც დადგენილია სახელმწიფოსთან შეთანხმების საფუძველზე. ფიზიკური პირებისთვის გასაწევი მომსახურების საფასური, რომლებიც დაზღვეულები არიან სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიაში გაწერილია სადაზღვევოსთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებში. დაუზღვეველ ფიზიკურ პირებზე შემოსავლის აღიარება ხდება კომპანიის მიერ დადგენილი შიდა სტანდარტით.

საიჯარო შემოსავალი. საოპერაციო იჯარის ფარგლებში მიღებულ შემოსავალს კომპანია აღიარებს მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის მიხედვით.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებას. მიმდინარე საგადასახადო დავალიანება ეყრდნობა წლის დასაბეგრო მოგებას, რომელიც იანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დასაბეგრო მოგება განსხვავდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გაცხადებული მოგებისგან, იმ შემოსავლის ან ხარჯების მუხლების გამო, რომლებიც დასაბეგრო ან გამოსაქვითია სხვა წლებში და აგრეთვე იმ მუხლების გამო, რომლებიც არ იბეგრება ან იქვითება. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას.

აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20
სამედიცინო აღჭურვილობა	3-14
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	3-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	3-5

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენის და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სავაჭრო ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში. კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება მარაგების გარდა

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის

დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივების დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში. თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

საოპერაციო იჯარა

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება მიღებული შემოსავლს პროპორციულად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარარის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და ხელფასთან დაკავშირებული განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესაბამება დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო).

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ანერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, კომპანია აფასებს თავად ურთიერთობის შინაარსს და არა მარტო მისი იურიდიული ფორმას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს პერსონალიზებული მედიცინის ინსტიტუტი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	1,265,906	1,339,511	1,098,542
		1,265,906	1,339,551	1,098,542
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	2	91,572	64,308	69,129
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	940,040	840,830	928,629
ფული მიმდინარე საბანკო	4	494,431	30,237	30,018
ანგარიშგება		1,526,042	935,375	1,027,776
სულ აქტივები		2,791,948	2,774,886	2,126,318
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		163,176	163,176	163,176
დაუფარავი ზარალი		(1,984,06)	(2,026,761)	(1,366,828)
		(1,820,88)	(1,863,585)	(1,203,652)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
	5	1,267,152	2,248,069	971,917
მიღებული სესხები		3988,575	336,132	101,166
ფინანსური ლიზინგი				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,674,727	2,584,201	1,073,083
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		1,824,958	528,774	230,268
მოკლევადიანი ფინანსური ლიზინგი	5	101,688	199,093	67,391
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	971,603	762,617	1,916,410
საგადასახადო ვალდებულებები		39,860	63,786	42,819
		2,938,109	1,554,269	2,256,887
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,791,948	2,274,886	2,126,318

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 25 დეკემბრის შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი


 გიორგი ზაალიშვილი

ბიუჯეტირების და
 ანგარიშგების სპეციალისტი


 დიანა პეტროსიანი

6-13 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.